


საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების ჩართულობისა და  
მონაწილეობის საკითხი საქართველოში : გამოწვევები და  
პერსპექტივები



ანა კოკორაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ილია წიკლაური, სამართლის დოქტორი, კავკასიის  
საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კოკორაშვილი

05.07.2021

## აბსტრაქტი

საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანია დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტუად ფუნქციონირებისთვის. მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხის მნიშვნელობაზე ხაზგასმა სწორედ მოქალაქეზე ორიენტირებულმა სახელმწიფოს პრინციპმა წარმოშვა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში საზოგადოების მონაწილეობის საკითხის მნიშვნელობის წარმოჩენა, რათა თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიეროს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში მონაწილეობა წარმოადგენს მათ უფლებას. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების შედეგზე სწორედ მოქალაქეებს აქვთ მაღალი გავლენა. საჯარო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს აღარ რჩებათ თავისუფლება გადაწყვეტილებები დახურულ კარს მიღმა მიიღონ.

კვლევისთვის გამოყენებულია ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, აღწერითი მეთოდები. გამოყენებულია დარგის სპეციალისტების, როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი წყაროები.

კვლევით დადასტურებულია საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობაში. გაანალიზებულია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა - საჯარო ადმინისტრაციულ წარმოების გამართვის პროცედურები, რამდენად შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან. მეორე მხრივ, აღწერილია საჯარო დაწესებულებების საქმიანობა, რას აკეთებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში. ასევე, შეფასებულია უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები :** საჯარო მმართველობა, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, კარგი მმართველობა, მოქალაქეთა მონაწილეობა, საჯარო მონაწილეობა.

## **Abstract**

In the process of public administration, public involvement is important for the democracy and the effective functioning of the government. The emphasis on the issue of citizen participation was born out of the principle of a citizen-centered state. The goal of the thesis is to highlight the importance of public participation in decision-making processes by public administration bodies, so that each citizen realizes that participation in the decision-making process is their right. Consequently, it is the citizens who have a high influence on the outcome of the decision-making. Public administration bodies no longer have the freedom to make decisions behind closed doors. Analytical, comparative-legal, descriptive methods are used for the research. Both Georgian and foreign language sources of specialists in the field are used. The research confirms the need for public involvement in the activities of public administration bodies. The administrative legislation of Georgia is analyzed – the procedures for holding public administrative proceedings, whether they are in line with international standards. On the other hand, the activities of public institutions are described, what they do to maximize the involvement of citizens in decision-making procedures. The decisions of the Supreme Court and the Constitutional Court are also evaluated.

**Keywords:** public government, public administrative proceedings, good governance, public involvement.